

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა დამტკიცდა 2022 წლის 21 იანვარს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე. წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების განხილვა:

1. კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);
2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (თებერვალი);
3. ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (მარტი);
4. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა (მარტი-აპრილი);
5. ინფორმაციის მოსმენა მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ (მარტი-ივნისი);
6. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ინფორმაციის მოსმენა 2022 წელს მიმდინარე მუშაობის შესახებ (წლის განმავლობაში);
7. ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის ინფორმაციის მოსმენა მუნიციპალიტეტში არსებული ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ (წლის განმავლობაში);
8. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში);
9. 2022 წლის სოციალური პროგრამების მიმდინარეობის განხილვა (წლის განმავლობაში);
10. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).

2022 წლის განმავლობაში ჩატარდა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 12 სხდომა, ყველა სხდომა იყო რიგითი, განხილულია 14 საკითხი, რომელთაგან ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანილია 13 საკითხი; მიღებულია 7 დადგენილება, მოსმენილია 3 ანგარიში.

კომისია შედგება 12 წევრისგან, რომელთაგან 8 წევრი წარმოადგენს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“, 2 წევრი ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 2, წევრი უფრაქციოა.